GAU
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY, LLC

მერაბ ალექსიძის 10, თბილისი 0160, საქართველო
10 Merab Aleksidze Street, Tbilisi 0160, Georgia
T (+995 32) 220 65 20 F (+995 32) 220 65 19
info@gau.ge www.gau.ge

№02-086 26.07.2017

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტის

ბრძანება

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე, და 36-ე და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დებულების მე-8 და 26-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად 3 წლის ვადით;
2. საკონსკურსო ადგილების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების საგანთა ჯგუფების მიხედვით განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად;
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს:
   - განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე;
   - პირადობის მოწმობის ასლი;
   - ორი ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე;
   - CV;
   - სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
   - შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   - გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
   - წასაკითხად შემოთავაზებული სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ვერსია;
   - სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - საგრანტო პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - სამეცნიერო საბჭოების, რედკოლეგიების, საექსპერტო კომისიების წევრობის დამადასტურებელო დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

GAU
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY, LLC

მერაბ ალექსიძის 10, თბილისი 0160, საქართველო
10 Merab Aleksidze Street, Tbilisi 0160, Georgia
T (+995 32) 220 65 20 F (+995 32) 220 65 19
info@gau.ge www.gau.ge

- დოქტორანტთა (დისერტანტთა) სამეცნიერო ხელმძღვანელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- უცხოეთის უნივერსიტეტებში მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- უცხო ენის (ინგლისური) ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირის შრომის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის პრეზიდენტსა და პერსონალს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით;
5. პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი უნივერსიტეტთან აფორმებს აფილირების ხელშეკრულებას;
6. საკონკურსო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:
   - ნინო ტორონჯაძე
   - დინა ასლამაზიშვილი
   - ზაზა რუხაძე
   - კონსტანტინე კულიჯანოვი
   - ნანი მეფარიშვილი

5. საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2017 წლის 4 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით 11 საათიდან 18 საათამდე, მისამართზე: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. #10;
6. დოკუმენტაციის მიღებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ადმინისტრაციის მენეჯერი ეკატერინე ბარბაქაძე;
7. კონკურსი ჩატარდება 12 სექტემბერს;
8. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 13 სექტემბერს;
9. ინფორმაცია კონკურსის შესახებ და „შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულება“ განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
10. ბრძანების გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს ადმინისტრაციის მენეჯერს ეკატერინე ბარბაქაძეს.

რ. მაიკლ ქაუგილი
პრეზიდენტი